

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

საკრედიტო ხაზისა და იპოთეკის გენერალური ხელშეკრულება N HEAD.0105407.001-001

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი“

----- 2024 წელი

კრედიტის საპროცენტო

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული
- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი - ----- () პროცენტი
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - ----- () პროცენტი

ფინანსური ხარჯი

• კრედიტის გაცემის საკომისიო = %=----- ლარი;

- საჯარო რეესტრში უზრუნველყოფის რეგისტრაციის ხარჯი (ლარში) ----- ლარი
- სანოტარო ხარჯები (ლარში) ----- ლარი
- საჯარო რეესტრში უზრუნველყოფის მოხსნის ხარჯი (ლარში)თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში ----- ლარი
- განაღდებას საკომისიო ----- ლარი

• კრედიტ ინფოს ხარჯი - 5 ლარი;

• სმს მომსახურების საფასური - 0.1 ლარი (10 თეთრი), გეგმიურად გადახდის წერტილებში, გრაფიკის მიხედვით (ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად)ტრანშის ათვისების შემთხვევაში გაიზრდება სმს

საკომისო იმდენჯერ (10 თეთრით), რამდენი ტრანშის ათვისებაც მოხდება ;

• ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა + პროცენტი + სმს საკომისიო) = ----- (ორი ათას ორას სამი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)

• ვადის ბოლო შენატანი (ძირითადი თანხა + პროცენტი + სმს საკომისიო) = ----- (ორი ათას ორას ორი ლარი და ორმოცდა თერთმეტი თეთრი)

• სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

• კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა = -----) ლარი;

• მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა - ----- ლარი

• კრედიტის ვადა = ----- თვე;

• საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა = ----- თვე;

• წინსწრების საკომისიო გამოითვლება სესხის წინსწრებით/ნაწილობრივ წინსწრებით დაფარვის მომენტში, სესხის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხიდან, და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად, შეადგენს 2%-ს, თუ დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა, 1%-ს, თუ დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა, 0.5%-ს თუ დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა და 0%-ს თუ დარჩენილია 6 თვემდე ვადა. ამასთან, მსესხებელს, ვადამდე შეწყვეტის/რეფინანსირების საკომისიოსთან ერთად დაეკისრება საშელავათო პერიოდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განმავლობაში დარიცხული პროცენტისა და სხვა გადასახდელების გადახდა.

• ვადაგადაცილებული გადასახდელი თანხის

• ვადაგადაცილების ჯარიმა/პირგასამტეხლო = 0.50 % მაგრამ, არაუმეტეს, სესხის მიმდინარე ძირითადი თანხის 0.27%

სა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე სესხზე დარიცხული ნებისმიერი სანქციის მათ შორის საპროცენტო სარგებლის, პირგასამტეხლოს და სხვა ხარჯების ჯამური ოდენობა არ გადააჭარბებს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5 მაგ ოდენობას.

• სესხის გაცემა ხდება გენერალური ხელშეკრულების -----

ფარგლებში, რომელიც მოქმედია შემდეგი ვადით -----

თვით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ზემოაღნიშნული ლიმიტის ფარგლებში მსახიბელზე დამატებით კრედიტის გაცემის შემთხვევაში, კრედიტის გაცემაზე თქვენი და მატებითი თანხმობა არ იქნება საჭირო და თქვენი თავდებობა

ქონების უზრუნველყოფის მოცულობა გავრცელდება გენერალური ხელშეკრულების უზრუნველყოფის ფარგლებში გაცემულ ყველა კრედიტზე.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით, ელექტრონული ფოსტით (არსებობის შემთხვევაში), მოკლე ტექსტური შეტყობინებით (მობილური ტელეფონის ნომერზე), სატელეფონო ზარით ან გამსესხებლისთვის ცნობილ და მომხმარებლის მიერ მოწოდებულ მისამართზე. ამასთან, გამსესხებელი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს მსესხებელს/მესაკუთრეს ცვლილება, თუ ხელშეკრულების პირობები იცვლება მსესხებლის/მესაკუთრის სასარგებლოდ.

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა - [http:// nbg.gov.ge/cp](http://nbg.gov.ge/cp) და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406

ხელშეკრულების მხარეები:

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელის” მინდობილი პირი თეა გვასალია (დაბადებული 28.01.1989 წელს. პ/ნ 62001039237, მცხოვრები ქ. ბათუმი ვ.გორგასლის ქუჩა N 74 ბინა 10-11) თანახმად მინდობილობისა, N 240879826, ინდ. N78608633920824, დამოწმებული ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილის მიერ, 11.07.2024 წელს) შემდგომში „იპოთეკარი“

„მსესხებელი“/მესაკუთრე -----) (შემდგომში „მსესხებელი/მესაკუთრე“)

მესაკუთრე -----

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას მსესხებელზე გახსნას საკრედიტო ხაზი, რომლის საფუძველზეც მსესხებელზე გასცემს სესხს/სესხებს, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას დააბრუნოს მიღებული სესხი/სესხები, გადაიხადოს დარიცხული პროცენტები და შეასრულოს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები.

1.2. წინამდებარე საკრედიტო ხაზის და იპოთეკის ხელშეკრულებით და სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სასარგებლოდ იპოთეკით იტვირთება წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული უძრავი ქონება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

2. ძირითადი პირობები:

2.1 სესხის გაცემის მიზნობრიობა: **საწარმოო ფართის სამშენებლო სამუშაოები**

2.2 სესხის გაცემა ხდება გენერალური ხელშეკრულების (ლიმიტის ოდენობა -----)) ლარის ფარგლებში, რომელიც მოქმედია შემდეგი ვადით ----- თვის ვადით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ზემოაღნიშნული ლიმიტის ფარგლებში მსესხებელზე დამატებით კრედიტის გაცემის შემთხვევაში, კრედიტის გაცემაზე თქვენი (უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის/თანამესაკუთრის) უძრავი ქონების მესაკუთრის/დამატებითი თანხმობა არ იქნება საჭირო და თქვენი თავდებობა/ქონების უზრუნველყოფის მოცულობა გავრცელდება გენერალური ხელშეკრულების უზრუნველყოფის ფარგლებში გაცემულ ყველა კრედიტზე.

2.3 კრედიტის ტიპი:-----

2.4 საკრედიტო ხაზის ლიმიტი/იპოთეკის/კრედიტის მთლიანი თანხა: -----

2.5 მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: ----- ლარი;

2.6 აღნიშნული საკრედიტო ხაზის ლიმიტით სარგებლობა მსესხებელს შეუძლია მრავალჯერადად, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე.

2.7 საკრედიტო ხაზის/ იპოთეკის/კრედიტის ვადა ----- თვე;

2.8 საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებულ სესხის თანხაზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით გაფორმდება სესხის გაზრდის (შიდა)/სესხის ხელშეკრულება ან/და შეთანხმება მსესხებელსა და გამსესხებელს შორის

2.9 კრედიტის ძირითადი თანხის და მასზე დარიცხული პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული, გამსესხებლისა და მსესხებლის მიერ ხელმოწერილი, გადახდის გრაფიკის (დანართი #1) მიხედვით. აღნიშნული გრაფიკი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. კრედიტის რესტრუქტურის/პრონოლოგაციის შემთხვევაში მსესხებელზე გაცემა ახალი გადახდის გრაფიკი, რომელიც ასევე იქნება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

2.10 საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა - ----- თვე;

2.11 კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - **ფიქსირებული**

2.12 ყოველთვიური საპროცენტო სარგებელი: სესხის ძირითადი თანხის ----- %

2.13 წლიური საპროცენტო სარგებელი: ----- %

2.14 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: ----- %

2.15 სმს მომსახურების საფასური - 0.1 ლარი (10 თეთრი), გეგმიურად გადახდის წერტილებში, გრაფიკის მიხედვით (ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად), ტრანში ათვისების შემთხვევაში გაიზრდება სმს საკომისო ომდენჯერ (10 თეთრით), რამდენი ტრანშის ათვისებაც მოხდება;

2.16 პირგასამტეხლო შეადგენს ვადაგადაცილებული გადასახდელი თანხის **0.50%** მაგრამ, არაუმეტეს, სესხის მიმდინარე ძირი თანხის 0.27% (ნული მთელი ოცდამეხუთე მასედი პროცენტისა) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე სესხზე დარიცხული ნებისმიერი სანქციის მათ შორის საპროცენტო სარგებლის, პირგასამტეხლოს და სხვა ხარჯების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

2.17 სესხის მომსახურებისთვის საჭირო ყოველთვიური გადასახდელი: -----;

2.18. ვადის ბოლო შენატანი: -----

ამონარიდი სამოქალაქო კოდექსის 625 მუხლის მეხუთე პუნქტიდან: „თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, სესხის გაცემის შემთხვევაში ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (გარდა ისეთი ხარჯებისა, რომლებიც შედის <http://www.matsne.gov.ge> 04000000005001019067 სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს თითოეული დღისთვის. სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული 0.27 პროცენტის მიზნებისათვის, გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ/დაკისრებულ პირგასამტეხლოსა და ნებისმიერი ფორმის ფინანსურ სანქციაში არ გაითვალისწინება სესხის ვადის გადაცილებისას (ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრამდე) პირგასამტეხლოს სახით ერთჯერადად არაუმეტეს 20 ლარის (ან უცხოური ვალუტით მისი ეკვივალენტის), აგრეთვე ამ მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად სესხის რეფინანსირების ან სესხის საკუთარი სახსრებით ან/და მესამე პირის მიერ ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში წინსწრებით დაფარვის საკომისიოს დაკისრება. სესხის ვადის გადაცილებისას ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრამდე ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (მათ შორის, სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ისეთი ხარჯების, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო, სესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ყოველი ვადის გადაცილებისას ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას“

2.19 საპროცენტო სარგებლის დარიცხვა იწყება სესხის გაცემის მომენტიდან და გრძელდება სესხის ძირი თანხის მსესხებლის მხრიდან ნებაყოფლობით სრულად დაფარვამდე, ან იპოთეკარის მოთხოვნის იძულებით აღსრულებამდე. რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მსესხებელი გადაიხდის ვადაგადაცილებული დღისთვის არსებულ პროცენტს.

2.20 პირგასამტეხლოს დარიცხვა იწყება ვადამოსული გადასახდელის გადაუხდელობის შემთხვევაში, გადახდის ვადიდან მეორე დღეს და წყდება:

ა) მსესხებლის მიერ სესხის ძირი თანხის და პროცენტის, გრაფიკის შესაბამისად, ნებაყოფლობით სრულად დაფარვის ან/და მოთხოვნის იძულებით აღსრულებით. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება მანამ, სანამ არ დაიფარება 2.11 პუნქტით გათვალისწინებული პროცენტი, აგრეთვე ვადაგადაცილებული ძირი თანხა.

2.21 მხარეთა შეთანხმებით, პროცენტის ცვლილების შემთხვევაში, მაქსიმალური საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 36% (ოცდათექვსმეტი). ხოლო, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: 50 (ორმოცდაათი) %.

ამონარიდი სამოქალაქო კოდექსის 625 მუხლის მეორე პუნქტიდან „მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის პროცენტის განსაზღვრისას სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს“.

2.22 ფინანსური ხარჯები:

საჯარო რეესტრში უზრუნველყოფის რეგისტრაციის ხარჯი (ლარში)	-----	ლარი
სანოტარო ხარჯები (ლარში)	-----	ლარი
საჯარო რეესტრში უზრუნველყოფის მოხსნის ხარჯი (ლარში)თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში	-----	ლარი
განაღების საკომისიო	-----	ლარი
კრედიტ ინფოს ხარჯი	-----	ლარი

2.23 სესხის კრედიტ ოფიცერთად რესტრუქტურისაგის შემთხვევაში, რესტრუქტურისაგის საკომისიო - კრედიტის დარჩენილი ძირი თანხის 1%.

2.24 კრედიტის გაცემის საკომისო სესხის თანხის - %;

2.25 ხელზე მისაღები თანხა ----- ლარი;

2.26 გატანის პერიოდულობა/გატანის თარიღები და გატანების საერთო რაოდენობა:-----

2.27 კრედიტის გაცემა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მსესხებლისთვის გადაცემულ საკრედიტო საგადახდო ბარათზე თანხის ჩარიცხვის გზით ან მის მიერ წარმოდგენილი ტერა ბანკის, თიბისი ბანკის ან სხვა ბანკის საბანკო ანგარიშის ნომერზე.

3. იპოთეკის საგანი:

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით იპოთეკის საგანს წარმოადგენს „მესაკუთრის“ კუთვნილი უძრავი ქონება, რომლის მახასიათებლებია:

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი

N-----

განცხადების რეგისტრაციის

N-----

3.2 იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგნის გაყოფის ან/და გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე (იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნაწილზეც). ამ პუნქტით დადგენილი ნორმა ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ იპოთეკის საგანს დაემატება (მიუშენება, დაეშენება) შენობა (შენობის ნაწილი). აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგანში გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე აღიმართება შენობა-ნაგებობა, იპოთეკა ვრცელდება უძრავი ნივთის ნაყოფზეც;

4. იპოთეკის საგნით უზრუნველყოფილი ვალდებულებები:

4.1. მესაკუთრე/მესაკუთრეები იპოთეკის საგნით უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებს, აგრეთვე მის საფუძველზე გაფორმებულ ნებისმიერ დამატებითი ხელშეკრულებითა და შეთანხმებებით (მათ შორის, რესტრუქტურისაციის შესახებ შეთანხმებით) ნაკისრ ვალდებულებებს

4.2. მხარეთა შეთანხმებით, ამ ხელშეკრულებით, იპოთეკარს სხვა კრედიტორებთან შედარებით აქვს უპირატესი უფლება, იპოთეკის საგნიდან დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (სესხის ძირითადი თანხის, სესხის პროცენტისა და პირგასამტეხლოს სახით, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ხარჯების სახით).

4.3. მხარეთა შეთანხმებით, იპოთეკის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხით დაიფარება სესხის ძირითადი თანხა, დარიცხული სარგებელი და პირგასამტეხლო ასევე დამატებითი ხარჯები, მათ შორის: საფოსტო-სატელეფონო, საადვოკატო-სასამართლო (თუ შეიქმნა ამის საჭიროება), სააღსრულებო, მოთხოვნის დათმობის საკომისიო, ექსპერტ-სპეციალისტის (იპოთეკის საგნის შეფასების, ასეთის არსებობის შემთხვევაში), იპოთეკის საგნის რეალიზაციის საკომისიო, მათ შორის აუქციონის (თუ ამ ფორმით წარმართა რეალიზაცია) და სხვა აუცილებელი ხარჯები;

5. სააღსრულებო ფურცელი:

5.1 მხარეთა შეთანხმებით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანად შესრულების შემთხვევაში, ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა. მხარეები ადასტურებენ, რომ მათ ნოტარიუსისაგან მიიღეს ჯეროვანი განმარტება, ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის სამართლებრივი ინსტიტუტის (მისი არსისა და ძირითადი პრინციპების) შესახებ და მათთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი შეცვლის სასამართლოს სააღსრულებო ფურცელს; შესაბამისად, იპოთეკარს უფლება ექნება სასამართლოსადმი მიმართვისა და სასამართლო საქმისწარმოების გარეშე მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, მიიღოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი და მოვალის მიმართ თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების აღსრულების პროცესი დაიწყოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, იპოთეკის საგანიდან. ამასთან, თუ იპოთეკის საგნიდან ამონაგები თანხა არ არის საკმარისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება მსესხებლის სხვა ქონებიდან

5.2 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მესაკუთრე და მსესხებელი აცხადებენ და ადასტურებენ, რომ ეთანხმებიან და არ ხდიან სადავოს იპოთეკარის უფლებას, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, დაიწყოს სააღსრულებო საქმის წარმოება.

6. იპოთეკარის უფლება-მოვალეობანი:

6.1. იპოთეკარი ვალდებულია:

6.1.1. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებითა და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებით წარმოშობილი ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ იპოთეკარი ვალდებულია სამი სამუშაო დღის ვადაში გააუქმოს იპოთეკის უფლება - დაარეგისტროს განცხადება იპოთეკის უფლების გაუქმების შესახებ;

6.1.2. არ გასცეს არანაირი ინფორმაცია, მსესხებლის შესახებ გარდა კანონმდებლობით დადგენილი წესისა;

6.2. იპოთეკარი უფლებამოსილია:

6.2.1. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის, სესხისა და დარიცხული სარგებლის და პირგასამტეხლოს ზედხედ 2 (ორი) თვის გადაუხდელობის შემთხვევაში, ანუ ამ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში იპოთეკარი უფლებამოსილია მიმართოს ნოტარიუსს და/ან სასამართლოს სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესად დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნა საქართველოს კანონმდებლობისა და ამ ხელშეკრულების შესაბამისად და ამ მიზნით განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებათაგან ნებისმიერი: იპოთეკარი უფლებამოსილია იხელმძღვანელოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-ე და 302-ე მუხლების საფუძველზე, რომლის თანახმად, იგი მოითხოვს იპოთეკის საგნის რეალიზაციას სამოქალაქო კოდექსით დადგენილი

აუქციონის ფორმით, ან - „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი აუქციონის გზით.
6.2.2. იპოთეკის საგანი უზრუნველყოფს იპოთეკარის მოთხოვნას იმ მოცულობით, რომელიც მას გააჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილების მომენტში. თუ იპოთეკის საგნის ღირებულება არ ფარავს კრედიტორის მოთხოვნას, კრედიტორი უფლებამოსილია, მოთხოვნა დაიკმაყოფილოს მოვალის სხვა ქონებიდან. მხარეები თანხმდებიან, რომ იპოთეკარი უფლებამოსილია, მიმართოს ნოტარიუსს, სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით და დაიწყოს იძულებითი სააღსრულებო წარმოება.

6.2.3. იპოთეკარი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, მოინახულოს და შეამოწმოს იპოთეკის საგანი, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი. მესაკუთრე ნებას რთავს „იპოთეკარს“ მოიპოვოს ყოველი ასეთი დოკუმენტი ნებისმიერი პირისგან;

6.2.4. იპოთეკარს უფლება აქვს, მიიღოს ყველანაირი საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტები მსესხებლის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესამოწმებლად, რასაც მხარე წარუდგენს მოთხოვნიდან 3 სამი/ დღის განმავლობაში;

6.2.5. თუ ვითარების გაუარესების გამო იპოთეკის არსებობას საფრთხე შეექმნება, იპოთეკარი უფლებამოსილია მესაკუთრეს განუსაზღვროს შესაბამისი ვადა ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად;

6.2.6. მესაკუთრის მიერ იპოთეკის საგნის შეცვლა ან/და იპოთეკის საგანში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ იპოთეკარის წინასწარი წერილობითი თანხმობით;

6.3. მისო უფლებამოსილია შეცვალოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი საკომისიოების რაოდენობა ან/და დაუწესოს მსესხებელს სხვა ტიპის საკომისიო. ასევე შეცვალოს სესხის გაცემისა და დაბრუნების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენი და პირობები, თუ შეიცვალა მარეგულირებელი, ზედამხედველი, მარეგისტრირებელი, საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ან კერძო ორგანოების მხრიდან დადგენილი წესები ან მისოს საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პარტნიორებისა და კონტრაგენტების (ბანკები, ფინანსური ინსტიტუტები, საგადახდო სისტემის სუბიექტები და სხვ.) მხრიდან დაწესებული კომერციული პირობები. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მისო წერილობით აცხობინებს მსესხებელს. მსესხებელი უფლებამოსილია შეტყობინების ერთი თვის ვადაში სრულად დაფაროს სესხი, თუ მსესხებელი არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას ამ პუნქტის შესაბამისად, შეცვლილი პირობები ამოქმედდება მსესხებლისათვის ზემო აღნიშნული შეტყობინების ჩაბარებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ.

7. მსესხებლის/მესაკუთრის/თანამსესხებლის უფლება-მოვალეობები:

7.1. მსესხებელი/თანამსესხებელი ვალდებულია დაფაროს სესხის თანხა ან/და მასზე დარიცხული სარგებელი, ხელშეკრულების შესაბამისად, გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში (გრაფიკის დარღვევა) - გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო. ვალდებულების ვადაგადაცილებისას, ასევე, ვალდებულია, გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული საპროცენტო სარგებელი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის შესაბამისად.

7.2. მესაკუთრე ვალდებულია იპოთეკის საგანს მოუაროს ჯეროვნად და შეინარჩუნოს მისი რეალური ღირებულება, უზრუნველყოს იპოთეკის საგნის მესამე პირების ხელყოფისაგან დაცვა და ნორმალურ მდგომარეობაში შენარჩუნება, არ დაუშვას მისი განადგურება და დაზიანება, ქონების მოვლისა და შენახვის ხარჯები და მისი შემთხვევითი დაღუპვის რისკი მთლიანად ეკისრება მესაკუთრეს;

7.3. მესაკუთრე ვალდებულია აცნობოს იპოთეკარს ზემოაღნიშნული ყოველი საკითხის ან გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს იპოთეკის საგანზე;

7.4. მხარეთა შეთანხმებით, მესაკუთრე იპოთეკარს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე წარუდგენს იპოთეკის საგანთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას და დოკუმენტაციას;

7.5. მხარეთა შეთანხმებით, მესაკუთრე და/ან მსესხებელი/თანამსესხებელი ვალდებულია იპოთეკარის მოთხოვნის მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა უზრუნველყოს იპოთეკარისათვის დაუყოვნებლივ გადაცემა ნებისმიერი საბუთისა (განცხადების, შეთანხმების და სხვა), რომელიც საჭირო იქნება იპოთეკარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებ(ებ)ის სრულფასოვანი განხორციელებისთვის;

7.6. მხარეთა შეთანხმებით, მესაკუთრე და/ან მსესხებელი/თანამსესხებელი ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით წინასწარ აცხადებს თანხმობას, აუქციონის ჩატარების მიზნით იპოთეკარის მიერ შერჩეული პირის სპეციალისტად დანიშნვაზე; სპეციალისტის ანაზღაურება განისაზღვრება იპოთეკის საგნის ღირებულების არაუმეტეს 5% (ხუთი)-ისა;

7.7. მხარეთა შეთანხმებით, თუ მსესხებელს აქვს რამდენიმე სესხი შპს „მისო ბერმელში“, სარგებლის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში იგი ვალდებულია სარგებელი (%-ი) გადაიხადოს პირველ რიგში იმ სესხზე, რომელზეც %-ის გადაუხდელობის გამო უფრო მეტი ვადაა გასული, ან უზრუნველყოს დავალიანების დაფარვა ყველა სესხზე ერთდროულად;

7.8. მხარეთა შეთანხმებით, მსესხებელი/თანამსესხებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს იპოთეკარს ზარალი, რომელიც მას მიადგება მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის დარღვევით;

7.9. მხარეთა შეთანხმებით, მსესხებელი/თანამსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დამოწმებისა და მისი რეგისტრაციის, ასევე ამ ხელშეკრულების გაუქმების ყველა გადასახადი და მოსაკრებელი;

7.10. მსესხებელი/მესაკუთრე/თანამსესხებელი ვალდებულია წინასწარ აცნობოს იპოთეკარს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის და შეცვლის თარიღის შესახებ, ასევე ფინანსურ ან/და ქონებრივ მდგომარეობაში არსებული ან მოსალოდნელი არსებითი ცვლილებების და ასევე, იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ ასეთი ცვლილებები;

7.11. მხარეთა შეთანხმებით, „იპოთეკარის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, მესაკუთრე უფლებამოსილია იპოთეკის საგანი გარდაქმნას, გააერთიანოს სხვა საგანთან იმგვარად, რომ გარდაქმნის შედეგად არ დაუშვას იპოთეკის საგნის რეალური ღირებულების შემცირება.

8. მესაკუთრის, მსესხებლისა და თანამსესხებლის განცხადებები, გარანტიები და ვალდებულება:

8.1. მესაკუთრე აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

8.1.1. კანონიერად ფლობს საკუთრების უფლებას იპოთეკის საგანზე;

8.1.2. ამ ხელშეკრულების თანახმად, ქონების იპოთეკით დატვირთვა არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და არ არღვევს კანონის მიერ დაცულ სხვა პირების უფლებებსა და ინტერესებს;

8.1.3. ქონება არ არის ყადაღადადებული და არ არის დატვირთული სხვა ვალდებულებებით მესამე პირების მიმართ;

8.1.4. არ გააჩნია რაიმე თვისება, რომლის გამოვლინების შედეგად ადგილი ექნება მის დალუპვას, დაზიანებას ან გაფუჭებას, ქონება ვარგისია ექსპლუატაციისათვის;

8.1.5. გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების დადების და მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ხელშეკრულების ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება და შესაძლებლობები და ამ მიზნით, მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა და ნებართვა;

8.1.6. არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში, მათ შორის სისხლის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რითაც საფრთხე ემუქრება მის ქონებას (უზრუნველყოფას) და მის მიერ იპოთეკარის წინაშე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას;

8.1.7. წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღეს მისი საცხოვრებელი ადგილია ხელშეკრულებაში მითითებული მისამართი;

8.1.8. მის მიერ იპოთეკარისთვის და ნოტარიუსისათვის წარდგენილი ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღისთვის არის უტყუარი და ზუსტი;

8.1.9. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, იპოთეკარის ან სხვა მესამე პირთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და სხვა გარემოებების გამოყენების გარეშე, ამასთან მესაკუთრისთვის ცნობილია, რომ ყალბი ცნობის, ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მიწოდება საკრედიტო ან/და იპოთეკის ხელშეკრულების გასაფორმებლად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დასჯადი ქმედებაა;

8.2 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ მომხმარებელს აქვს ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანება და მომხმარებლის ანგარიშზე განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, თუ მომხმარებელი **წერილობით** დააფიქსირებს განცხადებას უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ შემოტანილი თანხის წარმართვა კონკრეტული სესხის დასაფარად, შესაბამისად უფლება აქვს აირჩიოს ვალდებულებების დაფარვის რიგითობა.

9. ხელშეკრულები მოქმედების ვადა, მისი შეცვლისა და შეწყვეტის პირობები:

9.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულების და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი სესხის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვანად შესრულებამდე;

9.2. იპოთეკარი უფლებამოსილია, 9.3 პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მსესხებელს სესხის ძირი თანხის, დარიცხული საპროცენტო სარგებლისა და პირგასამტეხლოს დაუყოვნებლივი სრული დაფარვა; მსესხებელი ვალდებულია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის შესაბამისად, დაფაროს სესხის ძირი თანხა, აგრეთვე, სესხის დაფარვის დღემდე, დარიცხული საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლოსთან და ხელშეკრულების თანახმად გადასახდელ ყველა სხვა თანხასთან ერთად;

9.3. იპოთეკარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა, კერძოდ თუ:

9.3.1. გავიდა საკრედიტო ხაზისა და იპოთეკის ხელშეკრულების ვადა;

9.3.2. მსესხებლის მიერ საპროცენტო სარგებლის ზედიზედ ორი თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში.

9.3.3. მსესხებელი არ/ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დადგენილ ვალდებულებას.

9.3.4. არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილება იპოთეკის საგნის, მსესხებლის ან/და თავდების (თავდებების) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფინანსურ ან/და ქონებრივ მდგომარეობაში, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს სასესხო ვალდებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით შესრულება;

9.3.5. მხარეთა შეთანხმებით, ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელსაც ადასტურებდა მსესხებელი ან/და თავდები (თავდებები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან რაც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან კავშირში, აღმოჩნდება არსებითად არასწორი შესაძლოა შეწყდეს ხელშეკრულება;

9.4. მსესხებელს ნებისმიერ დროს აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, რა დროსაც იგი ვალდებულია გადაუხადოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას დარიცხული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის დარჩენილი ძირითანხა და მასზე დარიცხული პროცენტი. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის და სესხის თანხის წინსწრებით (ვადაზე ადრე) დაფარვის შემთხვევაში ან სესხის ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში მსესხებელი (მოვალე) დამატებით იხდის წინსწრების საკომისიოს. წინასწარ დაფარვის საკომისიო ინგარიშება კრედიტის დაფარვის/ნაწილობრივ დაფარვის მომენტში, სესხის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული

თანხიდან, და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად, შეადგენს 2%-ს, თუ დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა, 1%-ს, თუ დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა, 0.5%-ს თუ დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა და 0%-ს თუ დარჩენილია 6 თვემდე ვადა. ამასთან, მსესხებელს, ვადამდე შეწყვეტის/რეფინანსირების საკომისიოსთან ერთად დაეკისრება საშეღავათო პერიოდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განმავლობაში დარიცხული პროცენტისა და სხვა გადასახდელების გადახდა.

9.5. კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხით არ მოხდება კრედიტის წინსწრებით დაფარვა ავტომატურად, თუ მომხმარებელმა ზეპირად ან/და წერილობით არ მოითხოვა სესხის წინსწრებით დაფარვა.

9.6. მსესხებლის მიერ კრედიტის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, თუ იფარება საწყისი სესხის 20 %, არანაკლებ 500 ლარის ოდენობით, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში მისო სთავაზობს მსესხებელს ქვემოთ მითითებულ ან სხვა ალტერნატივებს:

9.6.1 ნარჩენი ძირი თანხის განწილვადება იმავე პერიოდზე ყოველთვიური შენატანის შემცირების გზით;

9.6.2 ყოველთვიური შენატანის იმავე ოდენობის პირობებში დარჩენილი პერიოდის შემცირება;

9.7. მხარეთა შეთანხმებით შესაძლოა გაგრძელებულ იქნეს საკრედიტო ხაზის და იპოთეკის ხელშეკრულების ვადა, რაზედაც გაფორმდება დამატებითი შეთანხმება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების სხვა პირობები:

10.1. მხარეთა შეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, ასევე მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ურთიერთობებში შეტყობინებები უნდა ჩაბარდეს პირადად, ან ოჯახის სრულწლოვან წევრს ან გაიგზავნოს დაზღვეული ან რეგისტრირებული საფოსტო გზავნილით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით, ინტერნეტბანკინგით, მობილბანკით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და იგი ჩაითვლება ჩაბარებულად ნებისმიერი აქ დათქმული ფორმით გაგზავნისას;

10.2. მხარეთა ადგილსამყოფელზე გაგზავნილი შეტყობინებები ითვლება მის მიერ მიღებულად, მიუხედავად იმისა, მისი რეალური ადგილსამყოფელი ემთხვევა თუ არა შეტყობინების გაგზავნის დღეს გამგზავნისთვის ცნობილ მის მისამართს, თუ ახალი ადგილსამყოფელის და იქ გადასვლის თარიღის შესახებ მხარე წერილობით წინასწარ არ უცნობებია შეტყობინების გამგზავნი მხარისათვის;

10.3. მხარეთა შეთანხმებით, ნებისმიერი მესამე პირი, ვინც მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში გამოცხადდება და დაფარავს კრედიტს (ან კრედიტის ნაწილს, მათ შორის, საპროცენტო სარგებელს, პრეგასამტებლოს), ჩაითვლება მსესხებლის წარმომადგენელად, ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მისთვის გადაცემული წერილობითი შეტყობინება ჩაითვლება უშუალოდ მსესხებლისათვის გადაცემულად;

10.4. მხარეები იღებენ ვალდებულებას დაიცვან ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება, გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას და არ გაახმაურონ ხელშეკრულების პირობები, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

10.5. ხელშეკრულების ერთ ერთი მხარის მიერ რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას;

10.6. ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას;

10.7. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე და კრედიტორის გადაწყვეტილების შესაბამისად, შეთანხმების შინაარსის გათვალისწინებით (გარდა ისეთი 10.8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) შესაძლოა დაექვემდებაროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას.

10.8. მხარეები ადასტურებენ გამსესხებლის უფლებას, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები (მათ შორის, საპროცენტო სარგებელი,

პრეგასამტებლო). ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით ელექტრონული ფოსტით (არსებობის შემთხვევაში), მოკლე ტექსტური შეტყობინებით (მობილური ტელეფონის ნომერზე) ან გამსესხებლისთვის ცნობილ და მომხმარებლის მიერ მოწოდებულ მისამართზე. ამასთან, გამსესხებელი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს მსესხებელს/მესაკუთრეს ცვლილება, თუ ხელშეკრულების პირობები იცვლება მსესხებლის/მესაკუთრის სასარგებლოდ.

10.9. მსესხებელს/მე/თანამსესხებელს/საკუთრეს შეუძლია ორგანიზაციას წარუდგუნოს ნებისმიერი ტიპის პრეტენზია, სტანდარტული წერილობითი/ელექტრონული ან/და ზეპირი ფორმით, ნებისმიერი ტიპის პრეტენზიაზე პასუხი მხარეს გაეცემა ერთი თვის ვადაში, იმავე ფორმით რა ფორმითაც მიმართავს მხარე, ორგანიზაციას. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ორგანიზაციის ნებისმიერი მომსახურების ოფისში/სერვისცენტრში. პრეტენზიის განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ორგანიზაციის ცხელ ხაზზე, ასევე ნებისმიერი მომსახურების ოფისში/სერვისცენტრში.

10.10. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.11. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10.12. წარმოშობილ დავებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო ხელშეკრულების დადების ადგილის მიხედვით. (მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ადგილია ამ ხელშეკრულების დადების ადგილი) ან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ. მხარეები

თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 11-პუნქტის შესაბამისად; 10.13. ფინანსური ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი, მისამართი: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 2.

10.14. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, ერთი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სარეგისტრაციოდ, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცემათ მხარეებს.

10.15. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შპს მისო „ბერმელი“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემული გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან

განხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების

შემთხვევაში თქვენ შესაძლოა, ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა .

11. მხარეთა რეკვიზიტები:

იპოთეკარი/გამსესხებელი

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი“

საიდენტიფიკაციო კოდი 245431108

მისამართი: ქალაქი ბათუმი, ფარნავაზ მეფის N93/99

ტელეფონის ნომერი: 0422 24-56-50 568 700-300

მსესხებელი

სახელი, გვარი: ----

პირადი ნომერი: -----

პირადი ნომერი:-----

მისამართი: -----

ტელეფონის ნომერი: -----

"მესაკუთრე"/„მესაკუთრეები

სახელი, გვარი: -----

პირადი ნომერი:-----

მისამართი: -----

ტელეფონის ნომერი:-----

თქვენ ხელმოწერით ადასტურებთ, რომ აცნობიერებთ სესხის უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი ქონების დაკარგვასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ მსესხებელმა სრულად არ დაფარა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

ნოტარიუსი
